სენაკის მუნიციპალიტეტში დამშრობი არხები იწმინდება

3 ივლისი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სენაკის მუნიციპალიტეტში ჭარბი წყლის მოცილების მიზნით, სამელიორაციო-ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს ატარებს. სოფელ თეკლათში ნატანი მასისგან იწმინდება შემკრები არხების 3700 მეტრიანი მონაკვეთი. სამუშაოების შედეგად, სადრენაჟე მომსახურება 400 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე აღდგება. დამშრობ ქსელზე მიმდინარე სამუშაოებს კომპანია ივლისის ბოლოს დაასრულებს.

შეხვედრა სოფელ სავანეთისა და ტალავერის მოსახლეობასთან

4 ივლისი

სარწყავ სისტემებზე არსებული ვითარება განიხილეს და საირიგაციო მომსახურების გაუმჯობესების საკითხებზე იმსჯელეს შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა, ოთარ შამუგიამ და ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლების სავანეთისა და ტალავერის მოსახლეობამ შპს „საქართველოს მელიორაციის“ ცენტრალურ ოფისში გამართულ შეხვედრაზე. ზაფხულის სეზონზე მოსახლეობის წინაშე სარწყავი წყლის საკითხი აქტუალურია. შეხვედრის შემდეგ შპს „საქართველოს მელიორაციის“ ექსპლუატაციის დირექტორი გიორგი ხუბუა, ქვემო ქართლის რეგიონალური სამსახურის ხელმძღვანელები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მოსახლეობასთან ერთად ადგილზე გაეცნენ არსებულ ვითარებას და შეთანხმდნენ, რომ სარწყავი წყლის შეუფერხებლად მისაწოდებლად და პროცესის დარეგულირების მიზნით, აუცილებელია ადგილობრივმა მოსახლეობამ დაიცვას წყალმოხმარების გრაფიკი, რათა წყალი თანაბრად, სამართლიანად და ოპტიმალურად გადანაწილდეს.

მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა, რომ მაქსიმალურად მოხდება ყველა რესურსის მობილიზება, რათა მოსახლეობამ შეძლოს საკუთარი ნაკვეთების მორწყვა. ადგილობრივ ფერმერებთან შეხვედრას ბოლნისის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი გოგი მეშველიანი, მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ ჟორჟოლიანი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრა აკრედიტებული საექსპერტო კომპანიების წარმომადგენლებთან

5 ივლისი

საქართველოს მელიორაციაში განსახორციელებელი პროექტების ტექნიკურ ზედამხედველობას დამოუკიდებელი საექსპერტო კომპანიები განახორციელებენ. ამის შესახებ ცნობილი გახდა შპს „საქართველოს მელიორაციის“ ცენტრალურ ოფისში გამართულ შეხვედრაზე, სადაც მოწვეულები იყვნენ აკრედიტებული საექსპერტო კომპანიების წარმომადგენლები. ქვეყნის სარწყავ და სადრენაჟე სისტემებზე მასშტაბური სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები ხორციელდება, ამიტომ დღის წესრიგში დადგა მიმდინარე და შესრულებული სამუშაოების ეფექტური კონტროლის მექანიზმების დანერგვა, რაც შპს „საქართველოს მელიორაციას“ საშუალებას მისცემს ოპერატიულად და რაც მთავარია ეფექტურად და ობიექტურად განახორციელოს მშენებლობის ზედამხედველობა და საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს მყისიერი რეაგირება და განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები.

საექსპერტო კომპანიებთან გამართული დისკუსიისა და აზრთა გაცვლის შემდგომ გამოიკვეთა რიგი საკითხები ტექნიკური პირობების, კომპანიების ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების შესახებ, რომლის დეტალური შესწავლის შემდეგ ზედამხედველობის შესყიდვის ორ საპილოტე პროექტზე ტენდერი უახლოეს მომავალში გამოცხადდება.

ჭალა - ორღულის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

7 ივლისი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სარწყავი სეზონის პარალელურად სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას აქტიურად განაგრძობს. საჩხერის მუნიციპალიტეტში ჭალა-ორღულის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. პროექტის I ეტაპი ითვალისწინებს ჭალა-ორღულის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობისა და მაგისტრალური არხის ჭალის მონაკვეთის მოწესრიგებას. პროექტის ფარგლებში მოეწყობა: მონოლითური რკინაბეტონის არხი 840 გრძივი მეტრი; ახალი წყალგამშვებშემტბორავი ნაგებობები; რეაბილიტაცია ჩაუტარდება არსებულ მილხიდებს. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, სოფელ ჭალაში 50 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი მოირწყვება.

სამუშაოების გასაცნობად იმერეთში შპს „საქართველოს მელიორაციის“ ტექნიკური დირექტორი თენგიზ ლაკირბაია იმყოფებოდა. პროექტის საერთო ღირებულებაა 242 500ლარი. სარწყავი სისტემა წყალს მდინარე ყვირილას კალაპოტში მოწყობილი სათავე ნაგებობიდან იღებს. ჭალის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის სიგრძეა 2,5კმ.

ჭალადიდის დამშრობ მასივზე მიმდინარე სამუშაოები

11 ივლისი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ფოთში სამელიორაციო სამუშაოებს ატარებს. შლამისა და ნატანი მასისგან იწმინდება ჭალადიდის დამშრობი მასივის წყალშემკრები არხები. აღნიშნული სამუშაოები, უხვი ნალექის დროს, მიმდებარე მიწის ფართობებს დატბორვისაგან დაიცავს. ჭალადიდის დამშრობი მასივი სადრენაჟო მომსახურებას მუნიციპალიტეტის 1200 ჰექტარ მიწის ფართობზე ახორციელებს. მიმდინარე სამუშაოები თვის ბოლოს დასრულდება.

ძლევიჯვარის მაგისტრალური არხი იწმინდება

19 ივლისი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სარწყავი და სადრენაჟე არხების აღდგენით სამუშაოებს ატარებს. შიდა ქართლში, ქარელის მუნიციპალიტეტში, გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს. ხე-ბუჩქნარისაგან იწმინდება ძლევიჯვარის მაგისტრალური არხის I რიგის წყალგამანაწილებლის 1100 მეტრიანი მონაკვეთი. ჩატარებული სამუშაოები არხში წყლის შეუფერხებლად გადინებას უზრუნველყოფს. შედეგად, სარწყავი წყლის მიწოდება 60 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესდება. აღნიშნული ფართობით სოფელ ძლევიჯვარისა და ბრეთის მეურნეობის მოსახლეობა ისარგებლებს.

ახმეტის მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამუშაოები

29 ივლისი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფელ ბირკიანში, მდინარე ალაზნის ძველ კალაპოტში დაბრუნების სამუშაოებს ატარებს. გაზაფხულზე მოსულმა უხვმა ნალექმა მდინარეს კალაპოტი შეუცვალა, რის შემდეგაც სარწყავ არხში წყლის მიწოდება შეწყდა. მიმდინარე სამუშაოები არხში წყლის შეუფერხებლად შედინებასა და შედეგად დაახლოებით 15 ჰექტარი საკარმიდამო ნაკვეთის მორწყვას უზრუნველყოფს.

აღნიშნული ფართობით სოფლების ბირკიანის, ჯოყოლოსა და დუისის მოსახლეობა ისარგებლებს. პარალელურად მიმდინარეობს ბირკიანის სარწყავი არხის 1000 მეტრიანი მონაკვეთის გაწმენდითი სამუშაოები.

სამელიორაციო სამუშაოები სამარეჯოს მუნიციპალიტეტში

30 ივლისი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სარწყავი და სადრენაჟე არხების აღდგენით სამუშაოებს ატარებს. კახეთში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს. ხე-ბუჩქნარისაგან იწმინდება ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარჯვენა მაგისტრალური არხის ერთ-ერთი წყალგამანაწილებლის კოლექტორის 4 კილომეტრიანი მონაკვეთი. კოლექტორი მორწყული ფართობებიდან ზედმეტი წყლის მოცილებას უზრუნველყოფს. სამუშაოები კვირის ბოლოს დასრულდება.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამელიორაციო სამუშაოები

1 აგვისტო

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქვემო ქართლში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს ატარებს. სოფელ მარაბდაში ალგეთი-ტბისი-კუმისის სარწყავი სისტემის დაზიანებული წყალგამანაწილებელი მილების დემონტაჟისა და ფოლადის ახალი მილების მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. ჩატარებული სამუშაოები სარწყავი წყლის მიწოდებას 60 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გააუმჯობესებს. აღნიშნული ფართობით სოფლების მარაბდისა და ქოთიშის მოსახლეობა ისარგებლებს. აღდგენითი სამუშაოები უტარდება ჯანდარის არხზე დაზიანებულ დიუკერსაც. შედეგად, სოფელ მარაბდაში 40 ჰექტარ სავარგულზე გაუმჯობესდება წყლის მიწოდების რეჟიმი.



მაწმენდითი სამუშაოები ხობის მუნიციპალიტეტში

5 აგვისტო

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ხობის მუნიციპალიტეტში, ხობი-უტორას მასივზე, ჭარბი წყლის მოცილების მიზნით, სამელიორაციო-ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს ატარებს. სოფელ თორსაში, ნატანი მასისგან კოლექტორული არხის 1320 მეტრიანი მონაკვეთი იწმინდება. სადრენაჟო სამუშაოები, რომელიც უხვი ნალექის დროს მიმდებარე სასოფლო-სამეურნეო ფართობებს დატბორვისგან დაიცავს, ხობი-უტორას მასივის 15 ჰექტრამდე მიწის ფართობზე მიმდინარეობს.

ხორხელში მიმდინარე სამელიორაციო სამუშაოები

9 აგვისტო

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სარწყავი სეზონის პარალელურად სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას განაგრძობს. კახეთში, ახმეტის მუნიციპალიტეტში, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის I რიგის წყალგამანაწილებელზე 800 მეტრი სიგრძის განშტოების მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოები, რომელიც თვის ბოლოსთვის დასრულდება 60 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის მორწყვას უზრუნველყოფს. აღნიშნული ფართობით სოფელ ხორხელის მოსახლეობა ისარგებლებს.

სისხლის უანგარო დონორთა აქცია საქართველოს მელიორაციაში

9 აგვისტო

საქართველოს მელიორაციაში სისხლის უანგარო დონაციის აქცია ჩატარდა. „გაიღე სისხლი-გადაარჩინე სიცოცხლე“ პროექტის ფარგლებში მელიორაციის თანამშრომლებმა ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლი ჩააბარეს. ლეიკემიითა და სხვა დაავადების მქონე ადამიანებისთვის სისხლის ხშირ გადასხმას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. აქციას მ.იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოსთან არსებული სისხლის ბანკი მართავს. პროექტის მიზანია ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისათვის საჭირო სისხლისა და სისხლის კომპონენტების დეფიციტის აღმოფხვრა. შპს „საქართველოს მელიორაცია“ სისხლის უანგარო დონაციის აქციებში მონაწილეობას სისტემატურად იღებს.

სოფელ აკურაში სამელიორაციო სამუშაოები მიმდინარეობს

15 აგვისტო

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სარწყავი და სადრენაჟე არხების აღდგენით სამუშაოებს ატარებს. თელავის მუნიციპალიტეტში, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის წყალგამანაწილებელზე 500 მეტრი სიგრძის განშტოების მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, სოფელ აკურაში, 130 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი მოირწყვება.

კახეთში მიმდინარე სამელიორაციო ინფრასტრუქტურული სამუშაოები

20 აგვისტო

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სამელიორაციო ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებს ქვეყნის მასშტაბით აქტიურად ახორციელებს. გურჯაანისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში, ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის რამდენიმე მონაკვეთზე აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს. სოფელ კაჭრეთში, დახურული ქსელის დაზიანებულ მონაკვეთს აღდგენითი სამუშოები ჩაუტარდა, რის შედეგადაც, სოფელში დამატებით 20 ჰექტარი სავარგული მოირწყვება. არსებული დიუკერის ბეტონით მოპირკეთების სამუშაოები წყლის შეუფერხებლად გადინებას შეუწყობს ხელს, რაც სარწყავი წყლის მიწოდებას სოფლების მელაანის, ქოდალის, არაშენდასა და კაჭრეთის (ნაწილი) დაახლოებით 150 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესებს. სარწყავი სისტემის გაწმენდითი სამუშაოები განხორციელდა ვერხვიანისა და ნინოწმინდის ტერიტორიაზეც. ნატანი მასისგან მარჯვენა მაგისტრალური არხის კოლექტორის 1300 მეტრიანი მონაკვეთი გაიწმინდა. აღნიშნული კოლექტორი მორწყული ფართობებიდან ჭარბი წყლის მოცილებას უზრუნველყოფს.

ლეკიანის დამშრობ მასივზე მაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს

21 აგვისტო

შპს „საქართველოს მელიორაცია“ რეგიონებში არხების გაწმენდით სამუშაოებს აქტიურად ატარებს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ლეკიანის დამშრობ მასივზე სადრენაჟო სამუშაოები მიმდინარეობს. ნატანი მასისგან საერთო სიგრძით 3,5 კილომეტრი კოლექტორები და შემკრები არხები იწმინდება. შედეგად, სოფელ ლიხაურში, 16 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესდება სადრენაჟო მომსახურება.

სამელიორაციო სამუშაოები სამგარეჯოსა და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში

22 აგვისტო

შპს „საქართველოს მელიორაციამ“ საგარეჯოსა და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში სარწყავ სისტემებზე გაწმენდითი სამუშაოები განახორციელა. სოფელ ხაშმში, მანავსა და კაჭრეთში ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის მონაკვეთები გაიწმინდა. სოფელ ხაშმში ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩაუტარდა შიდა ქსელს; სოფელ მანავში, მარცხენა მაგისტრალზე მოეწყო მიწის არხი; სოფელ კაჭრეთში, წყალგამანაწილებელ არხზე შეკეთდა დაზიანებული მონაკვეთი.

სამელიორაციო სამუშაოები, რომელიც სოფელ ხაშმში, მანავსა და კაჭრეთში ჩატარდა, სარწყავი წყლის მიწოდებას 200 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გააუმჯობესებს.

სიღნაღში სამელიორაციო არხების მაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს

29 აგვისტო

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯუგაანში, დამშრობი არხების გაწმენდით სამუშაოებს ატარებს. ნატანი მასისგან და ხე-მცენარეებისგან 2 700 მეტრი სიგრძის ორმაგი დანიშნულების, სადრენაჟე და საირიგაციო არხი იწმინდება. მიმდინარე სამუშაოების შედეგად, არხში აღდგება წყლის გამტარუნარიანობა, რაც მუცინიპალიტეტში 80 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის ჭარბი წყლისგან დაცვას, ხოლო 60 ჰექტარ სავარგულზე სარწყავი წყლის მიწოდებას უზრუნველყოფს.

სოფელ ასურეთში მიმდინარე სამელიორაციო სამუშაოები

30 აგვისტო

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სარწყავი და სადრენაჟე სისტემების მოწესრიგებას ქვეყნის მასშტაბით აქტიურად განაგრძობს. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ ასურეთის ტერიტორიაზე, ტბისი-კუმისის სარწყავი სისტემის გამანაწილებელი არხის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. სამუშაოების ფარგლებში, იცვლება 219 მმ-იანი ფოლადის მილის დაზიანებული 500 მეტრიანი მონაკვეთი; მონტაჟდება ურდულები. ჩატარებული სამუშაოები სოფელ ასურეთში 60 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესებს სარწყავი წყლის მიწოდებას.



დავით წითლიძე სამცხე-ჯავახეთში სამელიორაციო პროექტებს მაეცნო

10 სექტემბერი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა, დავით წითლიძემ სამცხე-ჯავახეთის სამელიორაციო ინფრასტრუქტურული ობიექტები დაათვალიერა. წითლიძე რეგიონში მიმდინარე და დასრულებულ სარეაბილიტაციო პროექტებს, მათ შორის, რეაბილიტირებულ ყაურმა-მამწყვარასა და მამწვარას სარწყავი სისტემების მუშაობას გაეცნო. აღნიშნული პროექტების განხორციელების შედეგად, წყალუზრუნველყოფილია 1300 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი. რეგიონში აქტიურად მიმდინარეობს სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციის პროცესი. ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ზრესის სარწყავი სისტემის აღდგენა მუნიციპალიტეტში 1140 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის მორწყვას უზრუნველყოფს, ხოლო სარწყავი წყლის მიწოდებას 440 ჰექტარზე გააუმჯობესებს. გენერალურმა დირექტორმა რეგიონალური სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად, ადგილზე განიხილა სამომავლო გეგმები და ის პროექტები, რომლებსაც უახლოეს პერიოდში კომპანია სამცხე-ჯავახეთში განახორციელებს. ბოლო 7 წლის განმავლობაში რეგიონში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 21 სარეაბილიტაციო პროექტი განხორციელდა. შედეგად, წყალუზრუნველყოფილია 9 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი, სარწყავი წყლის მიწოდება 1700 ჰექტარზე გაუმჯობესდა.

სამუშაო შეხვედრა სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულთან

11 სექტემბერი

მელიორაციის კუთხით ფოთში არსებულ საჭიროებებზე და განსახორციელებელ პროექტებზე იმსჯელეს შპს „საქართველოს მელიორაციის" ექსპლუატაციის დირექტორმა, გიორგი ხუბუამ, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა, ალექსანდრე მოწერელიამ და ფოთის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა. შეხვედრის შემდეგ ის ადგილები დაათვალიერეს, სადაც სამუშაოების განხორციელება იგეგმება. პროექტის ფარგლებში: მდინარე რიონის ქალაქში გამავალი არხი დანალექი შლამისა და ნატანისაგან გაიწმინდება; აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდება ნაპირდამცავ ჯებირებს. არხი წამში 400 კუბურ მეტრს გაატარებს, რაც მნიშვნელოვანია რიონის ჰიდროდინამიური რეჟიმისთვის, შავი ზღვის სანაპირო ზოლის სტაბილიზაციისა და წყალდიდობის პრევენციისთვის. სამუშაოები აგრეთვე ითვალისწინებს მეშვიდე კილომეტრის ნიშნულიდან ზღვამდე რიონის ფსკერისა და ზღვის შესართავთან ამჟამად მოსილული მარცხენა შტოს გაწმენდას. ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს ქალაქ ფოთში გამავალი მდინარე რიონის არხის რეაბილიტაციის დეტალური საინჟინრო პროექტის შედგენაზე.

ბადიაურისა და მზისგულში სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება

18 სექტემბერი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას განაგრძობს. კახეთში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარცხენა მაგისტრალური არხის წყალგამანაწილებლის 700 მეტრიანი მონაკვეთის აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოები ქსელში წყლის დანაკარგის შემცირებას უზრუნველყოფს. შედეგად: სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება სოფლების ბადიაურისა და მზისგულის სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობებზე გამარტივდება წყლის რეგულირების პროცესი.

სოფელ შალაურში დამატებით 20 ჰექტარი მოირწყვება

19 სექტემბერი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სარწყავი და სადრენაჟე არხების აღდგენით სამუშაოებს ატარებს. თელავის მუნიციპალიტეტში, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის წყალგამანაწილებელზე 450 მეტრი სიგრძის განშტოების მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, სოფელ შალაურში დამატებით 20 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი მოირწყვება.

სოფელ კოდაში დამატებით 50 ჰექტარი მიწის ფართობი მოირწყვება

24 სექტემბერი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქვემო ქართლში, ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს ატარებს. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ალგეთი-ტბისი-კუმისის სარწყავი სისტემის წყალგამანაწილებელ არხზე მილების დემონტაჟის, ახალი ქსელის გაჭრისა და ფოლადის მილების მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოები, რომელიც თვის ბოლოს დასრულდება სოფელ კოდაში დამატებით 50 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის მორწყვას უზრუნველყოფს.

სამელიორაციო სამუშაოები ტაშისკარის მაგისტრალურ არხზე

30 სექტემბერი

შიდა ქართლში, ტაშისკარის სარწყავი სისტემის გამანაწილებელ არხებზე სარემონტო სამუშაოები დასრულდა. სამუშაოების ფარგლებში ლითონის მილებით მოეწყო მილხიდები, რაც გამანაწილებელ არხებში წყლის გამტარუნარიანობას შეუწყობს ხელს. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, ხაშურისა და ქარელის მუნიციპალიტეტების სოფლების - ოსიაურის, ვაყაშის, რუისის, მოხისის, შაქშაქეთისა და ფცის სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობებზე შესაძლებელი გახდა სარწყავი წყლის შეუფერხებლად მიწოდება.